



**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის
შესრულების ანგარიში**

წალენჯიხა

2019




წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის

შესრულების წლიური ანგარიში.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №54 დადგენილებით. დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში განხორციელდა ცვლილებები წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N2 (18.01.2018წ) N4 (23.01.2018წ) N9 (22.02.2018წ) N25 (13.06.2018წ) N32 (31.07.2018წ) N38 (27.08.2018წ) N41 17.12.2018წ და N42 (28.12.2018წ) დადგენილებებით.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 7473.0 ათას ლარს, რომელიც წლის ბოლოსთვის დაზუსტდა და საბოლოოდ განისაზღვრა - 15199.0 ათასი ლარით, ბიუჯეტის ზრდა 7726.0 ათასი ლარით პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება (იხ.დიაგრამა)



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაშთმა 2018 წლის დასაწყისში შეადგინა 1145,7 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის ბიუჯეტის ნაშთი წლის ბოლოსთვის განისაზღვრა 2279.7 ათასი ლარით. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ - 14067,9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 14065,3 ათასი ლარი. ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ - 15199.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 12931.3 ათასი ლარი.




წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის

შემოსულებების წლიური შესრულება

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის შემოსულობების (შემოსავლები - 13924,6 არაფინანსური აქტივები - 140,8) ფაქტიურმა შესრულებამ 14065,4 ათასი ლარი შეადგინა

შემოსულობებიდან გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებზე მოდის 2608.0 ათასი ლარი, გრანტების (ფინანსური დახმარების) სახით მიღებულ შემოსავლებზე - 10876,0 ათასი ლარი, სხვა (არასაგადასახადო) შემოსავლებზე - 440,6 ათასი ლარი.

N	შემოსულობის დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	შესრულების %
1	შემოსავლები	13927,1	13924,6	99.98%
1.1	გადასახადები	2603,5	2608,0	100.2%
1.2	გრანტები და ფინანსური დახმარება	10896,6	10876,0	99.8%
1.3	სხვა შემოსავლები	427,0	440,6	103.2%
2	არაფინანსური აქტივების კლება	140,8	140,8	100.0%
3	ფინანსური აქტივების კლება	0	0	0
	ჯ ა მ ი	14067,9	14065,4	99.98%





გადასახადები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფაქტიურ შესრულებაზე მოდის 2608.0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმიური მაჩვენებლის 2603,5 ათასი ლარის 100.2%-ია.

N	შემოსავლის სახე	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	შესრულების %
1	საშემოსავლო გადასახადი	258,1	258,3	100.1%
2	ქონების გადასახადი	2345,4	2349,6	100.2%
	ჯამი	2603,5	2,608,0	100.2%

ფინანსური დახმარება და გრანტები

2018 წლის საანგარიშო პერიოდში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური დახმარების სახით მიღებული იქნა 10876.0 ათასი ლარი, ხოლო წლიური გეგმიური მაჩვენებელი შეადგენდა 10896.6 ათასი ლარს. 2018 წელს მიღებული ფინანსური დახმარებიდან გათანაბრებითა ტრანსფერმა შეადგინა 5011,7 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი-დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად განისაზღვრა - 178,0 ათასი ლარით, სპეციალური ტრანსფერის სახით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული იქნა 284,8 ათასი ლარი, აქედან, 232,6 ათასი ლარი, წინა წელს სასამართლო გადაწყვეტილებების თანახმად წარმოქმნილი დავალიანების დასაფარავად, ხოლო ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით გასაწევი ფულადი დახმარებისათვის - 52,2 ათასი ლარი. აქედანვე, ჩამოჭრილ იქნა 2017 წლის აუთვისებელი 11,8 ათასი ლარი და დაბრუნებულ იქნა ბიუჯეტში შესაბამის ანგარიშზე და საბოლოოდ სპეციალური ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა 272,98 ათასი ლარით. კაპიტალური ტრანსფერის სახით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული იქნა 5413,3 ათასი ლარი, აქედან რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული კაპიტალური ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა 3692,6 ათასი ლარით ხოლო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდიდან მიღებული სპეციალური ტრანსფერის ოდენობამ შეადგინა 1720,6 ათასი ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 2018 წელს ფინანსური დახმარების წილმა 77,3% -ი შეადგინა.

N	დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	შესრულების %
1	გრანტები	10896,6	10876,0	99,8%
1.1	გათანაბრებითი ტრანსფერი	5011,7	5011,7	100,0%



1.2	მიზნობრივი ტრანსფერი	178,0	178,0	100,0%
1.3	კაპიტალური ტრანსფერი	5474,2	5413,3	98,8%
1.4	სპეციალური ტრანსფერი	232,6	273,0	117,4%

სხვა შემოსავლები

2018 წლის საბოლოოდ დაზუსტებული გეგმით სხვა შემოსავლების მოცულობა 427,0 ათასი ლარით განისაზღვრა, საანგარიშო პერიოდში ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 440,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 103.19%. სხვა შემოსავლების წილი ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიან შემოსულობებში 3.0%-ს შეადგენს.

საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 271,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (258,4 ათასი ლარი) 105.0 %-ია. მათ შორის:

- **პროცენტებიდან** მიღებულია 111,7 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი ბიუჯეტის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

- **რენტის** სახით მიღებულია 159,8 ათასი ლარი. აქედან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელზე მოდის 136,6 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავალზე 23,3 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 72,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (72,4 ათასი ლარი) 100.00 %-ია. აქედან:

- **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით - 38,0 ათასი ლარი. მათ შორის:

* მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე (გარდა განსაკუთრებული მშენებლობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) – 5,9 ათასი ლარი.

* **სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი** – 0,2 ათასი ლარი;

* **მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის** - 31,8 ათასი ლარი.

- **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** - 34,5 ათასი ლარი, რომელიც აერთიანებს სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავალს.

სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით მიღებულია - 89,2 ათასი ლარი

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მიღებულია - 7,4 ათასი ლარი.



დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	შესრულების %
სხვა შემოსავლები	427.0	440.6	103.2
შემოსავლები საკუთრებიდან	258.4	271.6	105.1
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	72.4	72.5	100.2
ჯარიმები, სანქციები და საურავები	88.9	89.1	100.2
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	7.3	7.4	101.6

2018 წლის საანგარიშო პერიოდში არაფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსულობა 140,8 ათას ლარს შეადგენს, რაც შესაბამისი გეგმის (140,8 ათასი ლარი) 100.00 % - ია. არაფინანსური აქტივების კლება მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, საიდანაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული იქნა 50,1 ათასი ლარი, ასევე შენობა ნაგებობების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს, რომელმაც შეადგინა – 90,7 ათასი ლარი.


წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელების წლიური შესრულება

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა.

- 01 00 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 3194.96 ათასი ლარი
- 02 00 თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 99.81 ათასი ლარი
- 03 00 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 5628.34 ათასი ლარი
- 04 00 განათლება - 1907.14 ათასი ლარი
- 05 00 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 1163.72 ათასი ლარი
- 06 00 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 937.42 ათასი ლარი



ორგ. კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	შესრულების %
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	3403.74	3194.96	93.87
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	100.59	99.81	99.22
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6793.33	5628.34	82.85
04 00	განათლება	2479.49	1907.14	76.92
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1461.15	1163.72	79.64
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა და დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	960.71	937.42	97.58



01 00 წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება:

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (პროგრამული კოდი 01 01) დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 664,8 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში ფაქტურმა ხარჯმა შეადგინა 664.1 ათასი ლარი, აქედან შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 438,9 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე - 153.5 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 65.6 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 5,9 ათასი ლარი.



წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის (პროგრამული კოდი 01 02) დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2064.3 ათასი ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში ფაქტიური შესრულება განისაზღვრა 2002.3 ათასი ლარით. (აქედან მერიის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 1852.3 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენით ხარჯების გაზრდა გამოიწვია წინა წლის დასაფარი სესხის (150,000 ლარი) გადახდამ) აქედან შრომის ანაზღაურებას მოხმარდა 1386.9 ათასი ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე მიიმართა - 417.1 ათასი ლარი, სუბსიდიებზე - 12.0 ათასი ლარი, (ამ მუხლიდან განხორციელდა ომის, შრომის და ვეტერანთა კავშირის და ლიის საექიმო ამბულატორიის სუბსიდირება) სოციალურ უზრუნველყოფაზე - 10,7 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე - 8.4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე - 17.1 ათასი ლარი, ვალდებულებების კლებაზე(სესხი) – 150,0 ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდის (პროგრამული კოდი 01 03) გეგმა 2018 წლის ბიუჯეტში განისაზღვრებოდა 20.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 20.0 ათასი ლარი, რომელიც წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის 04/04/2018წ N2-1/190 და 19/11/2018წ N2-1/681 ბრძანებით გადატანილ იქნა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების ორგ. კოდზე მოსახლეობისთვის სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ.

სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის (პროგრამული კოდი 01 04 01) - დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 233,6 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 232,6 ათასი ლარი, რითაც განხორციელდა წინა წელს სასამართლო გადაწყვეტილებების თანახმად წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა.

მგფ-სა და სხვა ვალდებულებების დაფარვა (პროგრამული კოდი 01 04 02) - დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 177,6 ათას ლარს, ფაქტიური შესრულება განისაზღვრა - 176.5 ათასი ლარით, აქედან საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ფახულანის გზის რეაბილიტაციის და ნაგავმზიდი მანქანების სესხის ძირითადი თანხის დაფარვა - 58.4 ათასი ლარით, ხოლო პროცენტის - 118.1 ათასი ლარით.

სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულება (პროგრამული კოდი 01 05) - დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 263.4 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში ფაქტიური შესრულება განისაზღვრა - 119.3 ათასი ლარით.

ორგ.კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	3403.74	3194.96	
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	664.78	664.14	
01 02	მუნიციპალიტეტის მერია	2064.34	2002.36	
01 03	სარეზერვო ფონდი	0.00	0.00	
01 04	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	411.19	409.15	
01 05	სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულება	263.43	119.31	



02 00 თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება:

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის (პროგრამულ კოდი 02 02) - დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 100.9 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 99.8 ათასი ლარი, აქედან შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 79.8 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურება - 18.8 ათასი , ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა - 1.2 ათასი ლარით.

03 00 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია:

გზების და ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია, მათი მოვლა-შენახვის (პროგრამულ კოდი 03 01) - დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1898.5 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1646.1 ათასი ლარი, აქედან საქართველოს მთავრობის 18/01/2018 წლის N136 განკარგულებით საქ. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში მიქავას ადმ. ერთეულში გზის რეაბილიტაციის სამუშაოები დაფინანსდა - 1064.6 ათასი ლარით, ხოლო ზღვიას დასახლებაში ცენტრალური გზის რეაბილიტაციის სამუშაოები - 435.1 ათასი ლარით. ფახულანის ადმ. ერთეულში გზის რეაბილიტაციის სესხის საანგარიშო პერიოდში ძირითადად თანხამ შეადგინა 71,3 ათასი , ხოლო პროცენტმა 75,1 ათასი ლარი.

გარე-განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის (პროგრამულ კოდი 03 02 02) - დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 511.6 ათას ლარს, აქედან საანგარიშო პერიოდში გარე-განათების (ელ-ენერჯის ხარჯი) მომსახურების ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 229.8 ათასი ლარი, ხოლო საქართველოს მთავრობის 18/01/2018 წლის N136 განკარგულებით საქ. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში წალენჯიხის მუნიციპალიტეტში პარკების, სკვერებისა და ცენტრალური ქუჩების გარე-განათების სამუშაოების ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 276,2 ათასი ლარი.

დასუფთავების ღონისძიება წალენჯიხის მუნიციპალიტეტში (პროგრამულ კოდი 03 02 03 01) - დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 855.0 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 854.5 ათასი ლარი.

დასუფთავების ღონისძიება ქალაქ ჯვარში (პროგრამულ კოდი 03 02 03 02) - დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 350.0 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 346.8 ათასი ლარი.

წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის (პროგრამულ კოდი 03 02 04) 2018 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 307.8 ათასი ლარი, ხოლო საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის 18/01/2018 წლის N136 განკარგულებით საქ. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში საჩინოს ადმ. ერთეულში სასმელ-სამეურნეო მაგისტრალისა და ქსელების და ქ. წალენჯიხის საშანაოს და ეწერის ადმ. ერთეულში საჭანტურიოს უბანში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები დაფინანსდა 128.6 ათასი ლარით.

სასოფლო-სამეურნეო მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოების (პროგრამულ კოდი 03 03) - დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 6,0 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5.0 ათასი ლარი.



სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსების (პროგრამულ კოდი 03 07) - დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2607.7 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1889.8 ათასი ლარი. აქედან:


1. საქ .მთავრობის 03/05/2018 წლის N957 განკარგულებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოყოფილი 695.0 ათასი ლარიდან 2018 წელს აღნიშნული ღონისძიების ფაქტიური შესრულება განისაზღვრა 488.5 ათასი ლარით, ხოლო გარდამავალმა ნაშთმა შეადგინა 156.5 ათასი ლარი. (პროექტების შესრულების დანართი იხ.)
2. საქ .მთავრობის 01/08/2018 წლის N1468 განკარგულებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოყოფილი 200.0 ათასი ლარიდან 2018 წელს აღნიშნული ღონისძიების ფაქტიური შესრულება განისაზღვრა 180.3 ათასი ლარით ხოლო გარდამავალმა ნაშთმა შეადგინა 17.7 ათასი ლარი. (პროექტების შესრულების დანართი იხ.)
3. საქ .მთავრობის 09/11/2018 წლის N2168 განკარგულებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოყოფილი 885.0 ათასი ლარიდან 2018 წელს აღნიშნული ღონისძიების ფაქტიური შესრულება განისაზღვრა 395.7 ათასი ლარით, ხოლო გარდამავალმა ნაშთმა შეადგინა 482.9 ათასი ლარი. (პროექტების შესრულების დანართი იხ.)
4. საქ .მთავრობის 06/07/2017 წლის N1394 განკარგულებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხიდან (1000.0 ათ.ლარი) 2018 წელს გარდამავალი ნაშთის 817,9 ათ. ლარიდან აღნიშნული ღონისძიების ფაქტიური დაფინანსება განისაზღვრა 815.8 ათასი ლარით, ხოლო ნაშთი 2.1 ათასი ლარი ექვემდებარება დაბრუნას. (პროექტების შესრულების დანართი იხ.)

რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსების (პროგრამულ კოდი 03 08) - დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 255.4 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის 18/01/2018 წლის N136 განკარგულებით საქ. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 251.2 ათასი ლარი. (პროექტების შესრულების დანართი იხ.)

ორგ.კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	შესრულების %
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6793.33	5628.34	82.3
03 01	გზების და ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია მათი მოვლა შენახვა	1898.57	1646.11	86.7
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2024.42	1836.09	90.7
03 03	სასოფლო-სამეურნო მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოები	6.06	5.06	83.3



03 07	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	2607.73	1889.87	72.5
03 08	რეგიონალური განვითარების ფონდის სახსრებით განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	256.55	251.21	97.9



04 00 განათლება:

სკოლამდელი განათლების დაფინანსების (პროგრამულ კოდი 04 01) - დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1398.1 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1398.1 ათასი ლარი.

საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამულ კოდი 04 02) - დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 30.0 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 26.7 ათასი ლარი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაციის სამუშაოების (პროგრამულ კოდი 04 03) - დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1051.4 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის 18/01/2018 წლის N136 განკარგულებით საქ. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში ქ. წალენჯიხაში ჯგალი, მიქავა, ჩქვალერის საბავშვო ბაღების მშენებლობის მეორე ეტაპის და ქ. ჯვარში ოქანეს უბანში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოების ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 482.0 ათასი ლარი.



ორგ. კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	შესრულების %
04 00	განათლება	2479.49	1907.14	76.92
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1398.10	1398.09	100.00
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	30.00	26.75	89.17
04 03	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეზილიტაციის სამუშაოები	1051.39	482.31	45.87

05 00 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები:

სპორტული ღონისძიებების დაფინანსების (პროგრამულ კოდი 05 01 01) - დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 226.5 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 226.4 ათასი ლარი.

ფეხბურთის განვითარების ცენტრი (პროგრამულ კოდი 05 01 02) - დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 100.4 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 100.4 ათასი ლარი.

ა(ა)იპ წალენჯიხის ფეხბურთის ცენტრი-სპორტული კლუბი სქური (პროგრამული კოდი 05 01 04) - დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 93.4 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 93.4 ათასი ლარი

კულტურის ცენტრი (პროგრამულ კოდი 05 02 01) - დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 421.5 ათასი ლარი, ხოლო საანგარიშო პერიოდში ფაქტიურმა შესრულებამ - 421.5 ათასი ლარი.

მუსიკალური სკოლის დაფინანსების (პროგრამულ კოდი 05 02 02) - დაზუსტებული გეგმა-134.0 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში ფაქტიურმა შესრულება - 133.9 ათასი ლარი.

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის (პროგრამული კოდი 05 04) დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 50,0 ათასი ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში შესრულება განისაზღვრა 49.5 ათასი ლარით.

სპორტული და კულტურული ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაციის (პროგრამული კოდი 05 05) 2018 წლის გეგმა განისაზღვრა 435.4 ათასი ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის 18/01/2018 წლის N136 განკარგულებით საქ. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში ქ.წალენჯიხაში ტ.გრანელის სახ. კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაციის სამუშაოების ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 138.6 ათასი ლარი.

ორგ. კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	შესრულების %
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1461.15	1163.72	79.64
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	420.25	420.17	99.98
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	555.50	555.44	99.99
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50.00	49.50	99.00
05 05	სპორტული და კულტურული ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია	435.40	138.60	31.83



06 00 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (პროგრამული კოდი 06 01 01) - დაზუსტებული გეგმა შეადგენს 126,0 ათას ლარს(დელეგირებული - 100,0, საბიუჯეტო სახსრები - 26,0 ათასი ლარი) ხოლო საანგარიშო პერიოდში ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 125.9 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტატ. მომსახურების ნაწილობრივი თანადაფინანსების(პროგრამული კოდი 06 01 02) - დაზუსტებული გეგმა შეადგენს 109.6 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური შესრულება - 87,67 ათას ლარს ამ პროგრამის ფარგლებში 2018 წლის მდგომარეობით დაფინანსებულია 238 პაციენტი, ხოლო 21.9 ათასი ლარით 2019 წელს დაფინანსდება ის ვალდებულებები, რომელიც 2018 წელს საგარანტიო წერილის სახით გაიცა ბენეფიციარებზე.

ფსიქიური ავადმყოფთა ფსიქოტრ. მედიკამენტების უზრუნველყოფის დაფინანსების (პროგრამული კოდი 06 01 03) დაზუსტებული გეგმა შეადგენს 23,55 ათას ლარს, ხოლო 2018 წლის ფაქტიური შესრულება განისაზღვრა 23,55 ათასი ლარით, ამ პროგრამით 2018 წელს ყოველთვიურად ფინანსდებოდა 40 ბენეფიციარი. თითოეულზე 50 ლარი.

თირკმლის დიალეზზე მყოფი პაციენტების საჭირო ტრანსპ. უზრ.დაფინანსების (პროგრამული კოდი 06 01 04) დაზუსტებული გეგმა შეადგენს 16,05 ათას ლარს, ხოლო 2018 წლის შესრულება განისაზღვრა 16,05 ათასი ლარით ამ პროგრამით 2018 წლის მდგომარეობით ყოველთვიურად ფინანსდებოდა 14 ბენეფიციარი, თითოეულზე 100 ლარის ოდენობით.

მუდმივად ან/და სისტემატურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა დაფინანსების(პროგრამული კოდი 06 01 05) დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 12,35 ათას ლარს, 2018 წლის შესრულება განისაზღვრა 12,35 ათასი ლარით ამ პროგრამით 2018 წელს იანვრის თვეში ბენეფიციართა რაოდენობა განისაზღვრებოდა 6-ით, ხოლო წლის ბოლომდე მათი რაოდენობა გაიზარდა 25-მდე.

მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარების დაფინანსების (პროგრამული კოდი 06 02 01) დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 68,64 ათას ლარს, ხოლო 2018 წლის შესრულება განისაზღვრა 68,45 ათასი ლარით ამ პროგრამით ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია 423 ბენეფიციარს

ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების დაფინანსების (პროგრამული კოდი 06 02 02) დაზუსტებული გეგმა შეადგენს 37,0 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში შესრულება განისაზღვრა 36,2 ათასი ლარით, ამ პროგრამით 2018 წელს დაფინანსდა 181 ახალშობილთა ოჯახი

საზეიმო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი დახმარების დაფინანსების (პროგრამული კოდი 06 02 03) დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 11,15 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში შესრულება განისაზღვრა 10,9 ათასი ლარით ამ პროგრამით დახმარებები გაეწია შობა ახალ წელს და აღდგომის დღესასწაულზე 31 ოჯახს, ასევე 9 მაისს და 8 აგვისტოს დაზარალებულ ოჯახებს.

მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარება დაფინანსების(პროგრამული კოდი 06 02 04) დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 300,05 ათას ლარს, საანგარიშო პერიოდში შესრულება განისაზღვრა 300,05 ათასი ლარით ამ პროგრამით 2018 წელს ყოველთვიურად ფინანსდებოდა 170- მდე მრავალშვილიანი ოჯახი, თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე 50 ლარის ოდენობით.



შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანს. დახმარების(პროგრამული კოდი 06 02 05) დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 14,4 ათასი ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში შესრულება განისაზღვრა 14,4 ათასი ლარით ამ პროგრამით 2018 წელს დაფინანსდა 14 ბენეფიციარი ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით.

დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური დახმარების (პროგრამული კოდი 06 02 06) დაზუსტებული გეგმა შეადგენს 9,5 ათას ლარს, საანგარიშო პერიოდში შესრულება განისაზღვრა 9,5 ათასი ლარით ამ პროგრამით 2018 წელს ყოველთვიურად 100 ლარით ფინანსდებოდა 8 ბავშვი.

საომარი მოქმედებებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების ფულადი დახმარება (ორგანიზაციული კოდი 06 02 07) დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3,1 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში შესრულება განისაზღვრა 3,1 ათასი ლარით.

იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 08) დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 7,0 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში შესრულება განისაზღვრა 7,0 ათასი ლარით. აღნიშნული პროგრამით 2018 წელს ყოველთვიურად 250 ლარით ფინანსდებოდა 4 ოჯახი.

სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის (პროგრამული კოდი 06 03) დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3,0 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში შესრულება განისაზღვრა 3,0 ათასი ლარით

სარიტუალო ხარჯის (პროგრამული კოდი 06 04) დაზუსტებული გეგმა შეადგენს 4,9 ათას ლარს, საანგარიშო პერიოდში შესრულება განისაზღვრა 4,85 ათასი ლარით

სოციალური დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის (პროგრამული კოდი 06 05) დაზუსტებული გეგმა შეადგენს 214,4 ათას ლარს, ხოლო საანგარიშო პერიოდში შესრულება განისაზღვრა 214.4 ათასი ლარით

ორგ. კოდი	დასახელება	2018 წლის გეგმა	2018 წლის ფაქტი	შესრულების %
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	960.71	937.42	97.58
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	287.55	265.58	92.36
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	126.00	125.94	99.95
06 01 02	ჯანმრთელობის ცვლილებებით გამოწვეული სდ სადინ. პაც. სტაც. მოსახურების ნაწ. თანადაფინანსება	109.60	87.69	80.01
06 01 03	ფსიქიურ ავადმყოფთა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსება	23.55	23.55	100.00
06 01 04	თირკმლის დიალეზზე მყოფი პაციენტების საჭირო ტრასპორტ. უზრუნველყოფის დაფინანსება	16.05	16.05	100.00
06 01 05	მუდმივად ან/და სისტემატურად მკურნალობის საჭ. მქონე იშვიათი დაავად. შეპყრობილ პირთა ფინ. მხარდაჭერა	12.35	12.35	100.00
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	450.85	449.60	99.72
06 02 01	მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება	68.65	68.45	99.71
06 02 02	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	37.00	36.20	97.84
06 02 03	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი(მატერიალური) დახმარება	11.15	10.90	97.76
06 02 04	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	300.05	300.05	100.00



06 02 05	შშმ პირთა და მოვლისსაჭიროებებში მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა	14.40	14.40	100.00
06 02 06	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური დახმარება	9.50	9.50	100.00
06 02 07	საომარი მოქმედებებისა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების ფულადი დახმარება	3.10	3.10	100.00
06 02 08	იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის დაფინანსება	7.00	7.00	100.00
06 03	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა	3.00	3.00	100.00
06 04	სარიტუალო მომსახურება	4.90	4.85	98.98
06 05	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებითი უზრუნველყოფა	214.41	214.39	99.99

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს როგორც წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების დინამიკას, ასევე, დაზუსტებული გეგმის და ფაქტიური შესრულების საბოლოო შედეგებს